ცნობის ფურცელი

№ 1950 პარასკევი, 11 ოქტომბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1950

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში განკის დიდ ქუჩაზე, № 27 და ფ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

განცხადება

ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილე

ამით აუწყებს ბ. ბ. ამომრჩეველთ, რომ 1902 წ. 13 ოქტომბრისათვის, დილის 10 საათზე, დანიშნულია **დამატებითი არჩევანები** ქალაქ ტფილისის საბჭოს ხმოსნებისა 1902—1906 წლებისათვის. ასარჩევია **მესამე საარჩევნო რაიონში** კიდევ ერთი ხმოსანი და არა ნაკლებ ექვსის კანდიდატისა; ხოლო ნაშუადღევის 5 საათზე იმავე დღეს ასარჩევია **მეორე საარჩევნო რაიონისათვის** არა ნაკლებ ორის კანდიდატისა. დამატებითი არჩევანები მოხდება საბჭოს დარბაზში. შესავალი ველიამინოვის ქუჩიდან. ამომრჩეველთ თან უნდა ჰქონდესთ შესასვლელი ბილეთები, რომლებით სარგებლობდნენ 26 და 29 სექტემბერს საარჩევანო კრებაზე შესასვლელად. ვისაც ეს შესასვლელი ბილეთები არა აქვს, შეუძლიან მიიღოს გამგეობის კანცელარიაში 13 ოქტომბრამდე. არჩევნების დღეს ყუთებს დაუდგმენ ყველა იმათ, ვინც უწინაც განაცხადა სურვილი ყუთის დადგმისა მე-2 და მე-3 საარჩევნო რაიონებში. ხოლო ვისაც მაშინ კენჭი არ უყრია, მათ კეთილ ინებონ და წერილობით განუცხადონ ქალაქის თავის მოადგილეს თავიანთი სურვილი. (3—1)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 10 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე გაიხსნა ქალაქის ახალი **საავადმყოფო** 80 ავადმყოფისათვის. საავადმყოფოში მიიღებენ ყოველგვარ ავადმყოფს ქალსა და კაცს; მიიღებენ დიფტერიტით, ყვავილით, ქუნთრუშით და წითელათი ავადმყოფთ; სახადით ავადმყოფთ მხოლოდ მამაკაცთ მიიღებენ. ავადმყოფის შენახვა უფასოა. ავადმყოფს დღისითაც და ღამითაც მიიღებენ. ავადმყოფთა მნახველებს საავადმყოფოში მოსვლა შეეძლებათ კვირაობით, სამშაბათობითა და პარასკევობით ნაშუადღევის 2 საათიდან 4-მდე. ძუძუ-მწოვარა ბავშვებს მიიღებენ დედიანათ; ბავშვები 4 წლამდის მიიღებიან დედიანათ, თანახმად საავადმყოფოების ადმინისტრაციის ნებართვისა. თუ ბავშვი 4 წლისაზე მეტია, მას საავადმყოფოში დედიანათ აღარ მიიღებენ; ამ შემთხვევაში შეუძლიანთ ცალკე იქირაონ ბავშვისათვის განსაკუთრებული მომვლელი, რომლის შესანახად უნდა იხადონ დღეში 40 კაპ. გადამდებ სენით ავადმყოფთა საავადმყოფოში მოსაყვანად სადეზინფექციო კამერაში არის განსაკუთრებული ეტლი.

ტელეფონი № 172.

ავადმყოფის გადაყვანა უფასოა.

საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, ნოვო-ტროიცკის უბანში. (3—2)

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი
(ტელეფონი № 617)
დღეს, პარასკევს, 11 ოქტომბერს, ხარკოვის საოპერო დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება

ჰუგენოტები

ოპერა 4 მოქმედ. მუსიკა მეიერბერისა.

რაულის როლს შეასრულებს **ა. პ. ბონაჩიჩი.**

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ვან-დერ-ბრანდტისა, ზორინისა, გაშინსკისა, ბაუერ და სკორუპსკისა. ბ-ნნი: ბონაჩიჩი, სუნცოვი, იზმაილოვი, ვასილიევი, სერგეევი, სვაბოდინი და სხვანი. **კაპელმეისტერი** ლ. შტეინბერგი. **ხორმეისტერი** ა. გ. ზვერჟანსკი. **ბალეტმეისტერი** მენაბენი. **ადმინისტრატორი** მ. დურანდინი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

ხვალ, შაბათს, 12 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება **„ტრავიატა“**.

მზადდება წარმოსადგენად „მარგალიტის მძებნელნი“ მუსიკა ბიზესი.

სახელოვნო ნაწილის გამგე **ივ. ფითოევი.**

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე დღეებში 9—2 დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
ბედიანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

მ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. ჰ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთვისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 9—11.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სავანელიძისა, № 21. (აგჭალის ქუჩის დასაწყისში).
ტელეფონი № 274. (წლ.)

ე ქ ი მ ი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

სრულიად ახლად გადაკეთებული
„იუკნიე ნომერა“

მოხდენილად, წმინდად და შესაფერისად მოწყობილ ოთახებით; მოსამსახურე ქალებითა და კაცებით; ყოველგვარად მოწყობილია საცხოვრებლად. ნომრების ფასი სამი აბაზიდან დაწყებული და უფრო ძვირად; თვიურად 15 მან. და მეტიც. **ბარონის ქუჩა,** ფოსტისა და ტელეგრაფის ახლო, ქალაქის შუაგულში. (6—1)

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. იაჩნაძისა. (წ).

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთ იწვევენ საზოგადო კრებაზე, რომელიც დანიშნულია პარასკევს, 11 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე.

განსახილველი საგნები:

1) მოხსენება კომისიისა საეკკლესიო ღვინის შესახებ; 2) მოხსენება ა. ბ. ევანგულოვისა საკომისიო ბიუროს დაარსების შესახებ.

კრებას გარეშეთაც შეუძლიათ დაესწრონ. (1—1)

წარმოდგენა 5 ტელეფონი 617

◆ დილის წარმოდგენა ◆
ქართული თეატრი
კვირას, 13 ოქტომბერს 1902 წ.
შუადღის 12 საათზედ
ქართულ დრამატიულ დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
მეტად დაკლებულის ფასებით
✡ მეორე **იაფ-ფასიანი** წარმოდგენა ✡
I
ლანდი

დრამატ. ზღაპ. 5 მოქმ. და 6 სურ. თარგმ. ლაზარიაშვილის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი, როსტომიანი, ნათელი, ლალია და სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ლანდი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ლანდი, ელენტი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მანეთიდან 6 მანეთამდე, პარტერი 50 კ-დან 1 მ. 50 კ-დე, ამფითეატრი 60 კ-დან 1 მანეთამდე, გალერეა 20 კ-დან 35 კ-მდე. მოწაფეებისთვის ადგილები პარტერში 40 კაპ.

დასაწყისი შუადღის 12 **საათზე.**

მზადდება წარმოსადგენად: „მუშაკი და ნებიერი“, „უბედურ ვარსკვლავზე“ და სხვ.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკვრელად.

დიდი საქმე
I
საზოგადო შენიშვნები

მთავრობამ წამოაყენა დიდად საყურადღებო საქმე, ქვა-კუთხედი საერო და სახელმწიფო ცხოვრებისა: მოისურვა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამორკვევა. ამისათვის მთელს იმპერიაში შესდგა წოდებათა წარმომადგენლებისა და სპეციალისტების კომისიები. იმ მასალის მიხედვით, რომელსაც კომისიები მიაწვდიან, მთავრობას აზრადა აქვს ესა თუ ის საშუალება იხმაროს ხალხის კეთილდღეობის ასამაღლებლად და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის ასაყვავებლად.

საქმე მეტად დიდია. ხალხის ქონებრივად განკარგება და გაუმჯობესება... განა განათლებულ საზოგადოებისათვის ამაზე დიადი და კეთილშობილური საქმე სხვაც არის რამე? როგორ უნდა მოვკიდოთ ხელი ამ დიდ საქმეს? რით და როგორ უნდა დავიწყოთ მუშაობა? აი უპირველეს ყოვლისა რა არის გადასაწყვეტი.

როდესაც სალაპარაკოდ გამხდარა ხალხის შრომის პირობისა და საზოგადოებრივ მეურნეობის გაუმჯობესება, მაშინ საქმეს ესა თუ ის დროებითი საშუალება ვერაფერს უშველის. ამ გვარი საშუალება ვერას გააწყობს იქ, სადაც გაჭირვება დიდზე უდიდესია. საჭიროა ამ დროს მეურნეობის ისეთ სისტემის შემუშავება, ისეთ ღონის-ძიებათა მიღება, რომელიც ეხებოდეს ხალხის ცხოვრების ყოველ მხარეს და იმის მოქმედების ყოველ დარგს. შედეგად ამ სისტემას მწარმოებელ ძალთა განვითარება უნდა მოჰყვეს.

მართლაცა და, დროებით საშუალება რას გააწყობს და როგორ აამაღლებს სოფლის მეურნეობას, მაგალითად, შიდა რუსეთის იმ შუაგულ გუბერნიებში, სადაც, სენატის კომისიის ცნობებით, იკლო სახნავ-სათეს ადგილების რიცხვმა 25 და 30%-თ, ხოლო საქონლის რიცხვმა 30—40%-თ. მთავრობასა და ერობას, საზოგადოებასა და კერძო ქველ-მოქმედებას შეუძლიანთ დროებით დასდონ მალამო ჭირს, დახმარება გაუწიონ მოუსავლობის მსხვერპლებს, თესლი გასცენ და ფული დაარიგონ სამუშაო საქონლის სასყიდად. ამ აზრით, ტანჯულთა ბედის შესამსუბუქებლად, შეიძლება დაიხარჯოს, და დაიხარჯა კიდეც, ათი და ასი მილიონი მანეთი. 1891—92 წლების მოუსავლობას, მაგალითად, მთავრობამ 200 მილიონი მანეთი მოახმარა. მაგრამ ყველამ კარგად ვუწყით, რომ საერო მეურნეობა ამით წელში ვერ გამაგრდა, მიწათ-მოქმედება ფეხზე ვერ წამოდგა და ხალხის შრომის ნაყოფიერება ვერ გაიზარდა. ასეც უნდა ყოფილიყო. შრომის ნაყოფიერება, სახელმწიფოსი და საზოგადოების მეურნეობის განვითარება დამოკიდებულია ამა თუ იმ ხალხის კულტურულ და გონებრივ განვითარებაზე. როგორც უვიც და ველურ ხალხში თვით უძლიერესი გენიოსიც-კი ვერ შექმნის ლიტერატურას, ისე იმ სახელმწიფოში, სადაც პირველ-ყოფილი მეურნეობაა, ერთისა და ორის სამაგალითოდ მოწყობილი მამული არამც თუ ვერას გააწყობს, ხალხს ცოდნას ვერ შესძენს და საგრძნობელ სარგებელს ვერ გამოიღებს, არამედ ზარალსაც მოუტანს პატრონს.

ხალხის მეურნეობის განვითარება და ამაღლება შედეგად მოსდევს იმ საეკონომო პოლიტიკას, რომელსაც აზრადა აქვს **მთელს სახელმწიფოს მცხოვრებთა მომხმარებლობითი უნარის, მოთხოვნილების განვითარება და წარმოების გაუმჯობესებულ ფორმათა და საშუალებათა გავრცელება.** მწარმოებლობითი ძალა, ნაყოფიერი შრომა და მოქმედება იქ ძლიერდება და ვითარდება მხოლოდ, სადაც ხალხს დიდი მოთხოვნილება აქვს; იქ ჰქმნიან მხოლოდ საუკეთესო საწარმაო იარაღს, სადაც თხოულობენ კარგ და დიდ-ძალ საქონელს.

ყველაზე მდიდარი და წარმოებით განვითარებული სახელმწიფო ორია—შეერთებული შტატები და ინგლისი. სწორედ ამ სახელმწიფოების მუშათა შორისაა მოთხოვნილება ყველაზე მეტად განვითარებული. ამ მხრივ შესანიშნავია განსაკუთრებით შეერთებული შტატები. იქ ორთა შუა რიცხვით მუშის ოჯახი კვირაში ჰხარჯავს 10 მანეთს, ე. ი. 520 მანეთს წელიწადში. სადაც ასეთი მოთხოვნილებაა, იქ, აშკარაა, ადამიანთა მოქ-

მედება ყოველ დარგში სამაგალითო და საოცარი იქმნება. მოგზაურნი და მკვლევარნი გაკვირვებას ეძლევიან ამ ნაყოფიერ მოქმედები გამო. ასევე გაძლიერებულია მოთხოვნილება და მომხმარებლობითი უნარი შვეციასა, ნორვეგიასა, დანიასა, შვეიცარიასა და საფრანგეთში. რამდენადაც მოთხოვნილება კლებულობს, იმდენად მცირდება საკომერციო, საინდუსტრიო და საფინანსო მნიშვნელობა ამა თუ იმ ქვეყნისა. თუ ერთ მხარეს სდგანან შეერთებული შტატები და ინგლისი, მეორე მხარეს არიან ესპანია და იტალია, სადაც ოჯახი წლის განმავლობაში, ორთა შუა რიცხვით, ხარჯავს მხოლოდ 200 მანეთს, ხშირად უფრო ცოტასაც. ხალხის მომხმარებლობითი უნარი საზომად უნდა გაიხადონ ერისა და სახელმწიფოს ეკონომიურ პროგრესის გასაგებად.

მაგრამ ევროპაში ასე არ არის. დღემდე ეკონომისტნი და სახელმწიფო მოღვაწენი უმთავრესს ყურადღებას აქცევენ გარედ ბაზრების შეძენასა და მოპოვებას. განვლილ საუკუნის მეორე ნახევარში საერთაშორისო პოლიტიკის მომქმედ ძალად, უმთავრეს მისწრაფებად და სამეტოქეო ასპარეზად გადაიქცა აი სწორედ ამ ბაზრების ხელთ ჩაგდება, დასაკუთრება. შინაურ ბაზარზე და მოთხოვნილების გაღვიძებაზე ან სულ არა ფიქრობდნენ, ან თუ ფიქრობდნენ, მეტად ცოტას. ნამდვილად-კი, თუ მცხოვრებთა შორის მოთხოვნილებას გაალვიძებენ, განა შეიძლება შინაურ ბაზრებთან შედარება სპარსეთისა, ეგვიპტესი, თვით ინდოეთისა და ჩინეთის ბაზრებისა, იმ ქვეყნების ბაზრებისა, სადაც ათი, ასი და ორასი მილიონი კაცი მხოლოდ ბრინჯით იკვებება? ამის პასუხს შემდეგ ციფირებში წავიკითხავთ.

უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში ორთა შუა რიცხვით რუსეთს წელიწადში 690 მილიონი მანეთის საქონელი (1899 წელს გატანილ იქმნა 626 მილიონისა) გააქვს. წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთმა, მხნე საეკონომიო პოლიტიკის მეოხებით, შესძლო ამ ოცის წლის განმავლობაში მცხოვრებთა მოთხოვნილების გადიდება ისე, რომ თვითეულმა სულმა ყოველ ხუთის წლის შემდეგ თვითო კაპეიკი მეტი დახარჯა, ვიდრე წინადა ხარჯავდა. აი, მარტო ეს ერთი კაპეიკი რომ ჩავაგდოთ 100 მილიონ მცხოვრებზე, საჭირო შეიქმნებოდა მეტი საქონელი:

1885 წელს . . . 365 მილიონ მანეთისა
1890 „ . . . 730 „ „
1895 „ . . . 1,095 „ „

წარმოვიდგინოთ ახლა, რომ უკანასკნელ ექვს წელს მოთხოვნილება იმდენად ნელა იზრდებოდა, რომ შარშანდლამდე მოთხოვნილების მომატებამ მიახწია კაცის თავზე მხოლოდ ერთ გროშამდე. ამ შემთხვევაშიაც-კი 1901 წელს საჭირო იქმნებოდა 1,476 მილიონ მანეთის ახალი საქონელი, ე. ი. ორჯელ იმაზე მეტი, რაც რუსეთიდან გააქვთ.

ავიღოთ ეხლა ოცის წლის პროგრესიული განვითარება და გაზრდილ მოთხოვნილების რაოდენობა $3^1/_2$ კაპ. ვიანგარიშოთ. თუ ამ მცირე ფულს ოცად გავყოფთ, მივიღებთ იმ საშუალო რიცხვს, რომელსაც კაცი წელიწადში ხარჯავდა (ოცის წლის განმავლობაში), სახელდობრ $40^1/_6$ კაპ., ე. ი. 0,11 კაპეიკს დღეში. დამეთანხმებით, რომ ეს წარმატება მეტის-მეტად მცირეა. ეხლანდელ დროში სასურველია, რომ ჩვენმა ხალხმა, მეტადრე ნამდვილ ველიკორუსების გუბერნიებში, ჭამა-სმასა და ჩაცმა-დახურვაზე კაპეიკის მეათედი-კი არა, 10 და 15 კაპეიკიც დახარჯოს ყოველ დღე იმაზე მეტი, რასაც ეხლა ჰხარჯავს. მაგრამ ამისთანა წარმატება სწორედ საარაკო რამ იქნებოდა; მაშინ ხალხის წარმოება წელიწადში 3 მილიარდსა და 650 მილიონამდე მიაღწევდა, ესე იგი, ოთხჯერ აღემატებოდა ყოველ წლიურად საზღვარ-გარედ გატანილ საქონლის ფასს. გლეხ-კაცმა რომ თავის თავზე დღეში ათი კაპეიკი მეტი დახარჯოს—ეს ოცნებაა. ჯერ კაპეიკის მეათედსაც დავჯერდეთ, ესეც საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ათ წელიწადში საზღვარ-გარედ ყოველ-წლიურად გატანილ საქონლის ფასს გადავაჭარბოთ და ოც წელიწადში მთელი ეროვნული წარმოება ერთი ორად ვაქციოთ. საზოგადოების თითოეულ წევრის ცხოვრების მიკროსკოპიულ გაუმჯობესებას ასეთი კეთილი და სასარგებლო გავლენა აქვს მთელს საზოგადოების ეკონომიურ წყობილებასა, იმის წარმოებასა და მხნეობასა და გამრჯელობაზე. საჭიროა კარგად შევიგნოთ და თვალ-ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ხალხი თავის თავზე მეტსა ჰხარჯავდეს და ეს ხარჯი თან-და-თან იზრდებოდეს და რა დიდი გავლენა აქვს ამნაირ ხარჯის წარმატებას საზოგადოებრივ და სახელმწიფო მეურნეობის განვითარებაზე. რაკი ყოველი ადამიანი ცალკე და ყველანი საერთოდ ამ აზრს შეითვისებენ, მაშინ თავის თავად დაიბადება სურვილი, რომ მთელის სახელმწიფოს საეკონომო პოლიტიკაც ამ ძირითად აზრს დაუმორჩილონ და იმის თანახმად მოაწყონ; მაშინ სახელმწიფო კაცების გონებაშიაც აუცილებლად დაიბადება შემდეგი არსებითი საკითხები: „საიდან დავიწყოთ?" „როგორ შეუდგეთ საქმეს?".

(შემდეგი იქნება)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. პარლამენტის სხდომების დაწყებისათანავე კლერიკალებმა და კონსერვატორებმა იერიში მიიტანეს მთავრობაზე. კონგრეგაციების სკოლების დახურვით გაწიწმატებულმა და ბრაზ-მორეულებმა აღარ იციან, საიდან მოუარონ და საიდან უჩხვლიტონ მინისტრ-პრეზიდენტ კომბს. ვინ იცის, რა არ დასწამეს და რა არ უკიჟინეს კომბს პირველსავე კრებაზე. ერთმა სთქვა, კომბი მალე ღარიბთა თავშესაფარებს და სასადილოებს დაჰხურავსო, მეორემ—სამინისტროს პოლიტიკამ დაარღვია ოჯახი და ძირი შეურყია კერასაო, მესამემ—კომბი საფრანგეთის განადგურებას სცდილობსო. რაღა თქმა უნდა, მინისტრ-პრეზიდენტმა ყურადღება არ მიაქცია ყველა ამას. პირ-იქით, კომბმა, რათა მოწინა აღმდეგეებისთვის დაენახვებინა, რომ ძალა იმის ხელთ არის, განაცხადა, ყველა ის საქმე, რაც სკოლების დახურვას შეეხება, ეხლავე უნდა განვიხილოთო. კომბმა კარგად იცის, რომ პარლამენტში უმრავლესობა იმის მხარეს არის და რომ წუწუნ-გოდებით კლერიკალ-კონსერვატორები ვერას გააწყობენ. სწორედ ეხლა, პარლამენტის სესსიის დაწყებისას, კომბმა გადასწყვიტა, ალჟირშიაც დაკეტოს კონგრეგაციების სკოლები და იქაც ისეთი დღე დააყენოს კლერიკალებს, როგორიც თვით საფრანგეთში დააყენა. ალჟირის გენერალ-გუბერნატორი რამდენჯერმე შეეკითხა მთავრობას, კონგრეგაციების შესახებ კანონი ალჟირსაც შეეხება თუ არაო. მთავრობა აქამდე პასუხს არ აძლევდა, ეხლა-კი შეატყობინა კომბმა, რომ კანონი ალჟირშიაც უნდა განვახორციელოთო. ამასთან მინისტრ-პრეზიდენტმა აცნობა, მალე გამოგიგზავნით ინსტრუქციებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იხელმძღვანელოთ კანონის განხორციელების დროსაო.

— პარლამენტის სესსიამ, როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, უპირველეს ყოვლისა ის საქმეები უნდა განიხილოს, რომელიც კონგრეგაციების სკოლების დახურვას შეეხება. შემდეგ პალატა განიხილავს ორ საქმეს, ერთი—ემბერთა შესახებ, მეორე—მთამადნის მუშათა გაფიცვის შესახებ. პირველს გოტიე აღძრავს, ხოლო მეორეს—ბრიანი. მერე საერო განათლების მინისტრი შეიტანს კანონ-პროექტს. იგი შეეხება ფალლუს კანონის იმ ნაწილებს, რომელიც დღემდე არ გაუქმებულა. მეორე კანონ-პროექტს—სამხედრო-სასამართლოთა რეფორმის შესახებ—შეიტანს სამხედრო მინისტრი ანდრე.

— პალატის ვიცე-პრეზიდენტმა მორის ფორმა, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამ თანამდებობას თავი დაანება. სოციალისტთა დეპუტატებმა გადასწყვიტეს ამ თანამდებობაზე ჟორესის კანდიდატურა წამოაყენონ.

ინგლისი. პირველ ოქტომბერს სამინისტროს მეთაურმა ბალფურმა მანჩესტერში სიტყვა წარმოსთქვა. ამ სიტყვას მთელ ინგლისში დიდი ყურადღება მიაქციეს, რადგანაც იგი პირველია მას შემდეგ, რაც ბალფური პრემიერად გახდა. რაღა თქმა უნდა, ბალფური დღევანდელ საჭირ-ბოროტო საქმეს შეეხო—სასკოლო ბილლს. მთავრობას, სთქვა პრემიერმა, საჭიროდ მიაჩნდა და მიაჩნია სასკოლო რეფორმა, რადგანაც სკოლის საქმეები დღეს აწეწილ-დაწეწილია და სასკოლო სისტემაც დაძველებულია. საქმეების მოსაწესრიგებლად უპირველეს ყოვლისა საჭიროა მცირეოდენი ცენტრალიზაცია, ამიტომ სკოლები უნდა საგრაფოებისა და ქალაქის საბჭოების კანტროლს დაუმორჩილოთ. მთავრობა არაფრის გულისთვის არ აიღებს ხელს ბილლზე. მოწინააღმდეგენი განგებ ავრცელებენ ცრუ ხმებსა და ჭორებს. ამბობენ: მთავრობას უნდა სკოლა მღვდლებს ჩაუგდოს ხელშიო. ცილის-წამებაა ესა და სხვა არაფერი. ამბობენ აგრეთვე, რომ სასკოლო გადასახადის გამღებთ ხმა აღარ ექმნებათ სასკოლო საქმეებშიო. ესეც სიცრუვეა, რადგანაც კანტროლობა ევალება არჩეულ კაცებს, საგრაფოებისა და ქალაქის საბჭოების წევრებს. მოწინააღმდეგეებს ერთად-ერთი აზრი აქვთ—ბოლო მოუღონ საკონფესიო სკოლებს, მაგრამ მთავრობა არასოდეს აქამდეს საქმეს არ მიიყვანს. ჩვენი ბილი უეჭველად უნდა გაიყვანონ პალატაშიო.

✦ უკვე იყო ჩვენს გაზეთში მოხსენებული, რომ დუბლინში ირლანდიელ ლენდ-ლორდებს კრება ჰქონდათ. კრებას უნდა გადაეწყვიტა: სასურველია თუ არა ლენდ-ლორდებისა და მიწის მოიჯარადრეების წარმომადგენელთა კონფერენციის მოხდენა. ამ კონფერენციას უნდა შეემუშავებინა გეგმა ლენდ-ლორდიზმის გაუქმებისა ირლანდიაში. კარგა ხანია, ლაპარაკი აღძრეს ირლანდიაში ლენდ-ლორდებისაგან მიწის გამოსყიდვის შესახებ. კონფერენციას კი სწორედ ეს საქმე უნდა გადაეწყვიტნა და ისეთი საშუალებანი შეემუშავებინა, რომ ორივე მხარე—ლორდები და მოიჯარადრენი—კმაყოფილნი ყოფილიყვნენ. მაგრამ ლენდ-ლორდების კრებამ არ შეიწყნარა ეს წინადადება და მოისურვა კონფერენციის მოხდენა. წინადადების მომხრე მხოლოდ 14 კაცი აღმოჩნდა, ხოლო მოწინააღმდეგე 77 კაცი. აშკარაა, ლენდ-ლორდთა უმრავლესობას ნება ყოფლობით არა ჰსურს ხელიდან გაუშვას მიწა-ადგილი. თვით ამავე კრებაზე დიდის ამბით გამოაცხადეს, რომ ლენდ-ლორდები არ მიიღებენ არავითარ გეგმას მიწის გამოსყიდვისას. კრებამ ამასთან დიდი საყვედურიც გამოსთქვა მთავრობის მიმართ—იგი რბილად ექცევა ირლანდიელ მეამბოხეთაო. ყველაზე მეტად მიწის გამოსყიდვის წინააღმდეგნი მსხვილი მემამულენი არიან, რომელთათვისაც სააგრარო ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოებანი და არეულობანი მაგდენად საგრძნობელი არ არის. სულ სხვა პირობებში იმყოფებიან წვრილი მემამულენი. არეულობებმა ძირი გამოუთხარეს იმათ ეკონომიურ კეთილდღეობას, ამიტომაც ისინი თანახმანი არიან მიჰყიდონ მიწა ფერმერებს. წვრილი მემამულენი ძალიან დაალონა კრების გადაწყვეტილებამ. ლენდ-ლორდთა ინტერესების დამცველი გაზეთებიც (ზოგიერთი, რასაკვირველია) უსაყვედურებენ კრებას ასეთ შეურიგებლობისათვის. აშკარაა, ლენდ-ლორდები ისე მტკიცედ არ არიან უარზე, როგორც აქნამდე იყვნენ. დღეს თუ ერთი და ორია მიწის გაყიდვის მოსურნე, ხვალ ასი და სამასი იქმნება.

ავსტრო-ჰუნგრეთი. ამას წინად მოლაპარაკება ჰქონდათ ჩეხთა დასების წარმომადგენლებს. დაესწრნენ მოლაპარაკებას ფეოდალთა, მლადოჩეხთა და აგრართა დასების წარმომადგენელნი. კრებამ ერთხმად დაადგინა, არ მიიღოს კერბერის მიერ შემუშავებული კანონი ენათა შესახებ. კრება კერბერის წინადადებით მოხდა, ამიტომ ჩეხებმა თავიანთ გადაწყვეტილება უნდა გაუგზავნონ მინისტრ-პრეზიდენტს. კერბერის პროექტი ენათა შესახებ შემდეგ უმთავრესს საფუძვლებს შეიცავს: გერმანული ენა სავალდებულო უნდა იყოს სამხედროებთან და ჟანდარმების მოხელეებთან მიწერ-მოწერის დროს, აგრეთვე ისეთ მოხელეებთან მიწერ-მოწერის დროს, რომელნიც ჩეხიისა და მორავიის გარეშე არიან, და საადმინისტრაციო დაწესებულებებში. სამოსამართლო ოლქები ორ კატეგორიად უნდა გაიყოს: პირველში მხოლოდ ერთი ენა იხმარება, თუ მცხოვრებთა უმრავლესობას ჩეხები ან გერმანელები შეადგენენ, მეორეში—ორივე ენა თუ ოლქში ორისავე ერის წარმომადგენელნი სცხოვრობენ. ჩეხთა გაზეთები დიდად ჰკიცხავენ კერბერის ამ პროექტს. ჩეხებმა უკვე გადასწყვიტეს, ობსტრუქცია გაუმართონ და მოსვენება არ მისცენ მთავრობას.

მაკედონია. მაკედონიაში დიდი ამბებია. ამბოხება თითქმის ყველა კუთხეს მოედო; ბევრგან ბრძოლაც მოხდა მეამბოხეთა და ოსმალეთის ჯარს შორის. სოფიის გაზეთები სავსეა მაკედონიიდან მიღებულ ამბებით. აი ერთ გაზეთს რასა სწერენ: „25 და 26 სექტემბერს აჯანყებულმა გლეხებმა ალყა შემოარტყეს ქალაქ ჯუმაის და, ცხარე ბრძოლის შემდეგ, წაართვეს ოსმალებს სამი ზარბაზანი. აჯანყებულთ გაანადგურეს სოფლები, დააქციეს ხიდები და დაიჭირეს კრესნაში მიმავალი შარა-გზა." მეორე გაზეთს ატყობინებენ: „აჯანყება მთელ ჯუმაის სანჯაკს მოედო. რამდენიმე სოფელი, მათ შორის ოსენოვო, კრუპნიკი და ჟელეზნიცა, გადამწვარ-გადაბუგულია. იმ ადგილას, სადაც აჯანყებაა, ჯარი გაჩნდა, მაგრამ ისევ უკან წავიდა, რადგანაც მეამბოხენი ბევრნი იყვნენ. აჯანყებულებმა ოსმალებს წაართვეს მრავალი თოფი, ტყვია-წამალი, ზარბაზნები და სურსათი. ღამე ბრძოლა მოხდა ჯუმაიში. მეამბოხეებმა, მეცხოვნეთა სიმცირის გამო, ხელად აიღეს ქალაქი. ბევრმა ოსმალომ მორჩილება განაცხადა და იარაღი გადასცა. მეამბოხეთ აზრადა აქვთ ტყვე-ოსმალონი ბოლგარიის საზღვარზე გაჰგზავნონ."

ამავე გაზეთს სოლუნიდან დეპეშით ატყობინებენ: „გუშინ საღამოთი (26 სექტემბერს) საგანგებო მატარებლით ერთი ბატალიონი ჯარი გაჰგზავნეს დემირსა, გისარსა და კუკუშში. ამბავი მოვიდა, რომ ორ ოლქში დიდი ამბოხებაა. ზოგგან ოსმალოს სოფლები გადაუწვავთ. ამბობენ, ქალაქ მელნიკს ეხლაც უკიდია ცეცხლიო." მაკედონიის კომიტეტის გაზეთს „რეფორმი"-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა: „სოფელ სერბინოვოში მეამბოხეთ დაამარცხეს სამი რაზმი ოსმალთა ჯარისა და ერთი ბაშიბუზუკებისა. თითო რაზმში ოთხმოც-ოთხმოცი კაცი იყო. მეამბოხეებს წინამძღოლობს სამსახურს გარეშე მყოფი კაპიტანი სტოიანოვი. მალე ოსმალთა ახალი რაზმები გაჩნდნენ. სოფელ ცაპარჩევოსთან აჯანყებულთ დაამარცხეს ოსმალთა რაზმი, 100 კაცისაგან შემდგარი. ოსმალები ყველგან ბაშიბუზუკებს იარაღში სხამენ. ერთ სოფელში ოსმალებმა დასწვეს ეკკლესია, დედაკაცები და ბავშვები ხიდზე წაასხეს და იქ ყველას ყელები გამოსჭრეს. მდინარე სტრუმი სავსეა დახოცილთა გვამებით. რამდენსამე სოფელს ცეცხლი უკიდია."

აი ასეთის ამბებითაა სავსე გაზეთები.

ახალი ამბავი

✦ **რომიდანა** გვწერენ, რომ იქ გამოსულა მღვ. პ. პალმიერის თხზულების მესამე რვეული საქართველოს ეკკლესიის შესახებ: „La chiesa georgiana", რომლის პირველი ორი რვეული დაიბეჭდა თვიურ ჟურნალ „Bessarione"-ში. ამ რვეულში ავტორი საქართველოს საეკკლესიო ისტორიის პირველ ხანის აღწერას ათავებს (სიკვდილი მირიან მეფისა). როგორც ვიცით, მამა პალმიერის განზრახვა აქვს იტალიელ მკითხველს გააცნოს ჩვენის საეკკლესიო ისტორიის სხვა ხანებიც მე-XVIII საუკუნის დასასრულამდე.

✦ როგორც ქიათურიდან გვწერენ, იქ ცნობა მიუღიათ, რომ **ბ. გიორგი დადიანი-შიშვიძე** მისულა ბრაზილიაში და კიდეც დაუთვალიერებია იქაური მარგანეცის მადნები. სხვათა შორის, მოლაპარაკება ჰქონია ბრაზილიისა და ქიათურის მრეწველთა შეერთების შესახებ; იქაური მრეწველნი სიამოვნებით მიჰგებებიან ამ აზრს.

✦ გუშინ ქალაქის მიერ ახლად გამართული ორი საავადმყოფო აკურთხეს. კურთხევას დაესწრნენ ტფილისის გუბერნატორი, კავკასიაში საექიმო ნაწილის გამგე ბ-ნი ფენომენოვი, ექიმი-ხმოსნები, ქალაქის ყველა ექიმები და სხვ. ქალაქის სასანიტარო ინსპექტორმა, ბ-ნმა სტეფანოვმა, განუმარტა საზოგადოებას ქალაქის სასანიტარო ნაწილის შემოღებისა და არსებობის ამბავი; აღნიშნა, რომ ქალაქს ცოტა ნივთიერი საშუალება აქვს, მაგრამ მაინც დიდი სურვილი აქვს და მისწრაფებაც ქალაქის საექიმო ნაწილი გააძლიეროს. სხვა ქალაქებში შეძლე კაცები დახმარებას უწევენ ქალაქს და ბლომად ფულს სწირავენ, რომ ქალაქმა შეუძლო ხალხისათვის საავადმყოფოების დაარსება შესძლოს, ჩვენში-კი, სამწუხაროდ,

ეს ჯერ არ იციანო. შეძლებისადაგვარად ქალაქმა თუმცა ბევრი გააკეთა ამ მხრივ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელიო.

ბ-ნმა გუბერნატორმა აღნიშნა ქალაქის თვით-მმართველობის მოღვაწეობა და გამოაცხადა ამ მოქმედების თანაგრძნობა: ტფილისმა ბევრი გააკეთა ხალხის განათლებისათვისაო, საჭიროა ხალხის ჯან-მრთელობასაც მიაქციოს ყურადღებაო. მთელს ქალაქში ერთი მიხეილის საავადმყოფოა, ისიც საერობო ფულით ინახებაო, მაშინ როდესაც აქაურ სავადმყოფებში ასზე ოთხმოცდა ათი ქალაქელიაო. ქალაქის უპირველესი ზრუნვაა—საკუთარი საავადმყოფო დაიარსოს და ამ საქმეში ყოველს დახმარებას აღმოვუჩენო.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა; განათლებისა და საექიმო ნაწილის გარდა ქალაქს ბევრი სხვა საჭიროებაც აწევს, მაგრამ ამათ დაკმაყოფილებას უფულობა უშლის ხელს. ქალაქის უპირველესი წადილი იყო საკუთარი საავადმყოფო დაეარსებინა, ამიტომ საბჭომ საავადმყოფოსთვის განსაკუთრებულის გადასახადის შემოღებაც განიზრახა, მაგრამ მთავრობამ ეს არ შეიწყნარა და შემდეგ კერძო გადასახადის შემოღება განიზრახა და ეხლა იმის დამტკიცების მოლოდინშია ქალაქი, რომ ეხლანდელი დროებითი საავადმყოფოები სამუდამო საავადმყოფოდ გადააკეთოსო.

გუბერნატორმა სრული დახმარება აღუთქვა ამ საქმეში.

ქალაქის მოურავის მოადგილემ მადლობა გამოუცხადა თანაგრძნობისათვის და მერე დამსწრე საზოგადოება ჩაისა და ყავაზე მიიპატიჟა. ამით დასრულდა დროებით საავადმყოფოების კურთხევა-გახსნა.

✦ ტფილისში არც ერთი კუთხე არ არის ისე დაქვეითებული და ბნელით მოცული, როგორიც ავლაბარია. მცხოვრებთა უმრავლესობამ იქ წერა-კითხვაც კი არ იცის. მამაკაცნი მთელის კვირის განმავლობაში შრომითა და ოფლით აღებულ ფულს კვირა-უქმე დღეს მთლად დუქანში სტოვებენ. ამის გამო ყველა თანაგრძნობით უნდა მიეგებოს საკვირაო სამკითხველოების დაარსებას ავლაბარში, კითხვების გამართვას, სახალხო წარმოდგენებს და სხვას. როგორც გავიგეთ, რამდენსამე კაცს განუზრახავს **საკვირაო სკოლის** დაარსება ავლაბარში. სახალხო სკოლების ინსპექტორს ნება კიდეც დაურთავს. იმედია, ქალაქის თვითმმართველობა თანაგრძნობით მოეპყრობა ამისთანა კეთილს საქმეს.

✦ „ჩერნომ. ვესტნიკ“-ის სიტყვით, ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციას გადაუწყვეტია დაარსოს **ბათუმს, ართვინს და სოხუმს განსაკუთრებული კომისიები**, რომელთაც დაევალება ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა გამოკვლევა. კომისიების თავმჯდომარეებად იქნებიან ოლქების უფროსები; კომისიებში მონაწილეობის მისაღებად კერძო პირთაც მიიწვევენ.

✦ სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის განყოფილება ტფილისში აცხადებს, რომ მომავალ დეკემბრის 12 რიცხვისათვის **დანიშნულია პირველი ვაჭრობა** ქუთაისის გუბერნიის იმ მამულებისა, რომლის პატრონებს ხვედრი შემოსატანი დროზე შემოტანილი არა აქვთ. თუ ამ დღეს მამულები არ გაიყიდა, ხელ-მეორე ვაჭრობა იქმნება გამართული იმავე დეკემბრის 30 რიცხვს. ვაჭრობა ტფილისში მოხდება ბანკის განყოფილების სადგომში. სულ 68 მამულია გასასყიდად დანიშნული, განსაკუთრებით გურია-სამეგრელოისა და იმერეთის მემამულეთა.

✦ გზათა სამინისტრო მოკლე ხანში განიხილავს თურმე **ქუაბხეში ნავთ-სადგურის** აშენების პროექტს.

✦ სამხედრო სკოლათა უმთავრესი სამმართველო აცხადებს, რომ ვისაც **კადეტთა კორპუსში** მომავალ 1903 წლისათვის შვილების მიბარება ჰსურს, სათხოვარი მომავალ წლის 1-ლ თებერვლამდე უნდა შეიტანოს. ვინც ამ ვადას გადააცილებს, თუნდაც სათხოვარი იანვარში ჩააბაროს ფოსტას, იმათ გარჩევაში სამმართველო არ შევა. წილისყრა 1903 წლის მარტის შუა რიცხვებში მოხდება.

✦ ტფილისის **საზადოსნო სკოლაში** სწავლა-დამთავრებულთა გამოცდა დასრულდა. წელს სწავლა დაუმთავრებია აქ 7 კაცს.

✦ როგორც გვატყობინებენ, იმერეთის ეპარქიის სამრევლო-საეკლესიო **სკოლების მეთვალყურე მ. მ. კილენჯერიძე**, სამსახურს თავს ანებებს.

✦ გუშინ-წინ პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა ბავშვთა თავშესაფარების უმთავრეს სამზრუნველოს კომიტეტის წევრი **ბარონი ო. ო. ბუქსგევდენი**.

✦ ჩვენს მკითხველებს უნდა ახსოვდეთ, რომ კნეინა ნ. ა. ბექთაბეგოვისამ, თავის გარდაცვალებულის ძმის ე. ა. ბექთაბეგოვის სურვილის თანახმად, მიხეილის საავადმყოფოს **შეწირა ექვსასი თუმანი**, რომ ამ ფულის სარგებლით შეუძლებელ ავადმყოფებს ის დახმარება აღმოუჩინოს საავადმყოფომ, რომელიც უფრო საჭირო იქმნება ავადმყოფისათვის. აქამომდე შეწირულებიდან მხოლოდ ხუთასი თუმანი ჰქონდა გადაცემული საავადმყოფოს; გუშინ მეექვსე ასი თუმანიც გადასცა კნეინამ და ამით აღთქმული შეწირულებაც შეავსო. პირობა ისეთი დაუდევს შემწირველს, რომ დახმარება იმ ავადმყოფს მიეცემა, რომელსაც თვითონ კნეინა ბექთაბეგოვისა ან ამისი რწმუნებულ მოისურვებს.

✦ გუშინ, დილის 11 საათზე **აკურთხეს ახალი სადგომი** მთავარმართებლის კანცელარიისა ერივეს სახლში, ლაბორატორიისავე ქუჩაზე. კურთხევას დაესწრნენ: მთავარმართებლის საბჭოს წევრნი, კანცელარიის დირექტორი ბ-ნი ტროფიმოვი და კანცელარიის მოხელენი.

✦ როგორც ზემო იმერეთიდან გვატყობინებენ, წელს **მოუსავლობის გამო** ხალხი ძალიან შევიწროებულია. სიმინდი ეხლავე ძვირადა ჰფასობს თურმე.

✦ განჯის გუბერნატორს უთხოვნია და კავკასიის მთავარმართებელსაც მოუწონებია, რომ განჯის გუბერნიაში **ბამბის საუკეთესო თესლის** გასავრცელებლად კასპიის იქითა მხრიდან ბამბის თესლი შემოიტანონ. მიწათმოქმედების სამინისტროს სთხოვენ მერვიდან ბამბის თესლი გამოიწეროს სამინისტრომ და შეღავათიანის პირობებით ხალხს იაფ ფასად დაურიგოს. ეს თესლი შარშან 240 ფუთი გამოუწერიათ, ხალხისათვის დაურიგებიათ და წელს მშვენიერი მოსავალი მიუღიათ. ამ საქმეშიაც ჩარეულან ჩარჩები: თესლი თურმე ათ შაურად იყიდებოდა ფუთი, ესენი ჰყიდულობდნენ და ხალხს კი მანეთსა და ექვს აბაზს ახდევინებდნენ.

✦ მოხსენების შედგენა განსაკუთრებულ საბჭოს პროგრამის იმ მუხლის გამო, რომელიც შეეხება მჭიდროდ დასახლებულ ადგილებიდან მეტ მცხოვრებთა გადასახლების საქმეს, მიენდო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სტატისტიკოსს ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილს.

✦ სამშაბათს, 8 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე გორის მაზრის მცხოვრების **თავ. ალექსანდრე ციციშვილისა**, რომელსაც ჰბრალდებოდა ვერაზე „ედემის“ ბაღში, ამ ბაღის პატრონის ბესარიონ ბაქრაძის დაჭრა. შარშან ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა ეს საქმე და უდანაშაულოდ იცნო თავ. ციციშვილი. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება.

✦ მოკლე ხანში ტფილისში მოელიან გოფმეისტერს **თავ. გ. დ. შარვაშიძეს**, რომელიც ამ ჟამად სოხუმში იმყოფებაო—ამბობს გაზ. „ნოვ. ობოზრ.“

✦ რკინის გზის პოლიციას ვინმე ლუკა გაბრიჩიძე გაუჩხრეკია და 29 ყალბი ვერცხლის მანეთიანი უპოვია. მიჰყოლიან კვალსა და ძიებას და სოფ. ტყიბულს ახლოს, გლეხის მოსე გაბრიჩიძის სახლში მთელი წყობა დამზადებულ ყალბ ფულებისა აღმოუჩენიათ, აგრეთვე სხვა-და-სხვა იარაღი და ყალბი ფულის საკეთები ბევრი მასალა („ნოვ. ობოზრ.“).

✦ ტფილისის პოლიცმეისტერს ბრძანება გაუცია მე-3 და მე-4 უბნების ბოქაულებზე, სასტიკი ყურადღება მიაქციეთ, რომ მთელი დგარცოვი ქუჩა ფაიტონებმა უთუოდ წყნარად გაიარონო.

✦ 8 ოქტომბერს ნაძალადევში შემდეგი უბედურება მოხდა: სარკინოვის სახლში 14 წლის უმაწვილს, აბრამ ალექსის ძე ხორუევს მოუსურვებია რევოლვერის გაწმენდა. რევოლვერის ტუჩი წმენდის დროს შუბლთან დაუჭერია. უეცრად რევოლვერი გავარდნილა და ბავშს საფეთქელში მოხვედრია. ბავშვი რკინის გზის სამკურნალოში გაუგზავნიათ, სადაც იგი რამდენისამე წამის შემდეგ გარდაცვლილა.

✦ მოგვივიდა ამიერ-კავკასიის სააქციზო უწყების ანგარიში ჩვენის ქვეყნის იმ სამრეწველო დარგთა მდგომარეობის შესახებ 1901 წელს, რომელთა ნაწარმოებზე ბაჟია დადებული. აქ მოთავსებულია აღწერა: 1) ნავთისა, 2) თამბაქოსა, 3) ღვინისა და მაგარ სასმელების და 4) ასანთის წარმოების და სხვა.

✦ პოლიციის მე-9 ნაწილში, 8 ოქტომბერს ვიღაც ქურდი შეპარულა ვაჭარ რთველაძის დუქანში და მოუპარავს 185 მან. და ვერცხლის ქამარი, 50 მან. ღირებული. ამ ქურდობაში ეჭვი მიუტანიათ კ—ძეზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს.

✦ ტფილისის მე-2 გილდის ვაჭარს მერაბოვს 8 ოქტომბერს თავის მსახურის ვართანოვისათვის მიუცია 458 მან. ფოსტით გასაგზავნად. ვართანოვს წაუღია ეს ფული და სადღაც გადამალულა.

რუსეთის ქრონიკა

✦ მთავრობას აზრადა აქვს დააარსოს უმაღლესი კურსები საკომერციო სკოლებისათვის მასწავლებლების მოსამზადებლად. ასეთი კურსები ორგან იქნება—პეტერბურგსა და მოსკოვს. უმაღლეს მთავრობას უკვე განუხილავს პროექტი კურსებისა, ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული.

✦ წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა საქმეების განსაგებად ფინანსთა სამინისტრო ჰფიქრობს დააარსოს განსაკუთრებული გამგეობა. გამგეობაში, სხვათა შორის, მიიწვევენ ერობისა და იმ დაწესებულების წარმომადგენლებს, რომელნიც დაინტერესებულნი არიან წვრილ კრედიტის საქმეში.

✦ პეტერბურგში უნდათ დააარსონ ახალი სავაჭრო-სამრეწველო ბანკი. ამ ახალმა ბანკმა ხელი უნდა შეუწყოს რუსეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ვაჭრობას.

✦ პეტერბურგში იმყოფება ამ ჟამად ამერიკელი ჟურნალისტი ქალი ინსლეი. ქ-ნ ინსლეის განუზრახავს რუსეთში მოგზაურობა ქალთა საზოგადოების გასაცნობად და იმის გასაგებად, რა მდგომარეობაშია რუსეთში ქალთა კითხვა. ინსლეი რუსეთის დიდ ქალაქებს მოივლის.

წერილი ყვირილიდან

მიწათ-მოქმედების მინისტრის მოსვლა

ოთხ ოქტომბერს საქარის ამერიკულ ვაზის სანერგე ინახულა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ბ-ნმა ერმოლოვმა. სადგურზე მინისტრს მიეგება სანერგეს გამგე, უფროსი აგრონომი სტაროსელსკი. მინისტრს ახლდნენ მისი რწმუნებული კავკასიაში ბ-ნი მედვედევი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, ქუთაისის სახელმწიფო ქონებათა მმართველი, ქუთაისის მაზრის უფროსი თავ. დადიშქელიანი და სხვანი. დილის ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც სანერგეში მოვიდა მინისტრი. სანერგეს მუზეუმის დარბაზში მას წარუდგნენ სანერგეს მოსამსახურენი. შემდეგ ინახულა საქიმიო და სამიკოლოგიო ლაბორატორიები, მევენახეობის სკოლა, ღვინის დასაყენებელი მარანი, ბადები, დამყნილ და დაუმყნელ ამერიკული ვაზები და სხვა. მინისტრს განმარტებას აძლევდა სანერგეს გამგე სტაროსელსკი. სანერგეს დათვალიერების შემდეგ მინისტრმა მოისურვა ნახვა გლეხების სანერგეებისა და დამყნილი ვენახებისა, რომელიც ბლომად არის გაშენებული საქარის სანერგის გარეშემო. მინისტრი ეტლით გაემართა გლეხების ვენახების დასათვალიერებლად. გლეხებს ძალიან გაუხარდათ, როდესაც ვენახებში მუშაობის დროს, ეწვიათ საპატიო სტუმარი და როდესაც მინისტრი მაზრის უფროსის თარჯიმანობით გამოელაპარაკა მათ და კითხვები მისცა ვენახების მოვლა-გაშენების შესახებ. მინისტრი ფრიად კმაყოფილი დარჩა გლეხების შრომით და ხელის ჩამორთმევით მადლობა გამოუცხადა და დახმარება აღუთქვა. შემდეგ დაბრუნდა სანერგეში, სადაც გამართული იყო საუზმე. საუზმეზე მინისტრმა მოითხოვა სანერგეს ვენახის ღვინო და დიდად მოიწონა. მოკლე სიტყვით, რომელიც წარმოსთქვა მინისტრმა, დაახასიათა ნაყოფიერი მოღვაწეობა სანერგისა და გამოსთქვა სურვილი მისი გაფართოებისა და გადაკეთებისა. მომავალში სანერგეს მაგიერ დაერქმევა იმას „ამიერ კავკასიის სანერგე მევენახეობისა და მეღვინეობისაო“. მადლობა გამოუცხადა მოსამსახურეთ მუყაითის სამსახურისათვის და 12 საათზე გაემგზავრა ტფილისისაკენ.

6 აგვისტოს სანერგე ინახულეს ქუთაისის წმ. ნინოს დედათა გიმნაზიის მეექვსე კლასის მოსწავლე ქალებმა.

ვ. მუხურელი

წერილი კახეთიდან

საქონლის ჭირი. – ყურძნის მოსავალი

კახეთის ნივთიერად დაქვეითების მიზეზად ამ ბოლოს დროს საქონლის ჭირიც უნდა ჩაითვალოს, რომელიც ეს რამდენიმე წელიწადია შემოეჩვია კახეთს. ჭირს მოჰყვა ბეითალი, ბეითალს—კარანტინი და ამ უკანასკნელს კიდევ—საქონლის დამწყვდევა. სოფელი ზარალდება, მომუშავე საქონელი აკლდება, მუშაობა: ხვნა-თესვა, მოტან-გადეწვა და სხვ. უკან რჩება, ქირაზე წასვლა ესპობა, ბეითლისთვის სახლის, შეშის და ნავთის მიცემა სჭირდება, ამას დაუმატეთ 5—10 და ხან მეტი მუშა კაცის გამოყვანა: ყარაულებად, ხაროების გასაჭრელად და მუშებად საქონლის გასინჯვის და დახოცვის დროს და ადვილად გაიგებთ, რამდენი ზარალი და ხარჯი მოსდის სოფლელს საქონლის ჭირისაგან. თუმცა დახოცილ საქონლის ღირებულება უბრუნდებათ პატრონთ, მაგრამ მაინც მცხოვრებნი ბევრჯელ ცდილობენ, საქონელი როგორმე მოაფარონ ბეითალს ე. ი. დახოცვას ააცდინონ და გულ-დაწყვეტილნი ამბობენ: „ღმერთო ნუ დაგვიხოცავენ და არც მაგათი ფული გვინდაო“.

ეს სამი-ოთხი წელიწადია, რაც ფეხი მოიკიდა კახეთში ჭირმა. იშვიათად გადარჩა ისეთი სოფელი, რომლისათვისაც თავისი დაღი არ დაესვა. წელს-კი, როგორც იყო, სრულიად განთავისუფლდა ჭირისაგან მთელი თელავის მაზრა. მცხოვრებთ ხელ-ფეხი გაეხსნათ, თავისუფლად ამუშავებდნენ საქონელს, პატრონთ დიდი იმედი ჰქონდათ ამ შემოდგომისა, როცა ქირაზე სიარულს დაიწყებდნენ (ღვინოს ეზიდებიან ხოლმე ტფილისში ურემს 14—18 მან.), რითაც ცოტათი მაინც შეღავათს მისცემდნენ თავიანთ ოჯახს. ესეც რომ არ იყოს, თავისუფლად მაინც მოჰხნავდასთესავდნენ. მაგრამ ამ დროს სიღნაღის მაზრის მოსაზღვრე სოფ. ურიათუბანში გაჩნდა ჭირი, იქიდან გაჩნაძიანში გადმოვიდა; ამავე დროს ზემო მხრის სოფ. ყარაჯალას ეწვია ეს დაუპატიჟებელი სტუმარი, მერე გარდისუბანს და გაღმა მხარეს—ს. სანიორეს. კიდევ კარგი, თუ ამ ოთხ სოფელში იკმარა დაბანაკება და ახლო სხვა სოფლებსაც არ ეწვია ეს გლეხი-კაცის დაუძინებელი მტერი.

კახეთში ყველგან, როგორც ქვემო, ისე ზემო და გაღმა მხარეს, რთველი გათავდა. ყურძნის კრეფა მცხოვრებთ სექტემბრის პირველიდანვე დაიწყეს. დაიკრიფა წვრილი ვენახები უფრო გლეხ.კაცებისა, მხოლოდ ზვრებს-კი გასულის თვის ნახევრიდამ მიჰყვეს ხელი. რთველის აშურებას ავდარმა აიძულა მცხოვრებნი. მართალია, წელს ყურძენი ადრე შემოვიდა, მაგრამ აგვისტოს ბოლო რიცხვებში დაწყებულმა ავდარმა საჩქარა ხალხი და ზარალიც დიდი მოიტანა. მარცვალი სიცივისაგან და წვიმისაგან დაიბერა და დასკდა, მერე გამოდარებაზე ლპობა დაიწყო. ამიტომ გლეხთ გამოდარების უმალვე დაჰკრიფეს თავიანთი ვენახები, მაგრამ მაინც ავდარმა თავისი გაიტანა: ზოგ სოფლებში ას-ას თუმნობით ანგარიშობენ ავდრებისაგან დანაკლისს. მაგალითად: რუისპირს, ენისელს, საბუეს, შაშიანს, ყვარელს ურიათუბანს, ხორხელს და ზემოხოდაშენს ორას-ორას თუმნამდის ზარალი მოსვლიათ ავდრისაგან, მხოლოდ დანარჩენ წვრილ სოფლებს-კი მისი ნახევარი და ზოგს ნაკლებიც.

მაინც წელს ვენახებს კვირტიდანვე შეჰყვა ავდარ-სიცივე და ბოლოს დამწიფებამდიც ისევ ავდარმა მოუღო ბოლო. ამისთვის მოსავალიც შიგ ჭრელად მოვიდა. ზოგ სოფელში ქვევრები დაავსეს, ზოგში საშუალო იყო და ზოგს-კი ძლიერ ნაკლებად მოუვიდა ღვინის მოსავალი.

დიმიტრიშვილი

წერილი ჩურუქსუდან

აქაური სკოლა და ქართველი მაჰმადიანნი.—სამკითხველო.—მინისტრის მოსვლა

ჩურუქსუში არსებობს ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა. 9 წელიწადი იქნება, რაც აქ სკოლა დაარსდა. ხუთი წლის განმავლობაში სავსე იყო სკოლის ყველა განყოფილება ქართველ მაჰმადიანთა შვილებით. სამწუხაროდ, დღეს სკოლაში მხოლოდ 3 ან 4 ქართველი მაჰმადიანი-ღაა.

არ იქმნა და არ ეღირსა ჩვენს ჩურუქსუს სამკითხველო. რამდენჯერ გვქონდა ბაასი სამკითხველოს დაარსების შესახებ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. პ. კოპალაძემ ითავა ეს საქმე, თხოვნაც გაგზავნა, ნება-რთვა კიდეც მოსულა, მაგრამ მარტო ნებართვამ არ იკმარა. თუ ხალხი ხელს არ შეუწყობს და შემწეობას არ აღმოუჩენს, სამკითხველო, რასაკვირველია, არ დაარსდება.

3 ოქტომბერს აქ მოვიდა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ბ-ნი ერ-

მოლოდი; დაათვალიერა ის სახაზინო მიწები, რომელიც დარიგებული აქვთ საკარაკოდ სამხედრო კაცებს. აქაურმა რუსებმა სთხოვეს ბ-ნ მინისტრს, აგარაკებს შუა ერთი ნაჭერი მიწა დაგვითმეთ, ბაღი გავაშენოთო. რადგანაც ეს ნაჭერი მიწისა სხვას აქვს, მინისტრმა ორი ვერსის მანძილზე დაუთმო სახაზინო მიწა მთხოვნელთ.

აქეთ კარგი დარებია, სიმინდისა და ყურძნის აღებას მიჰყვეს ხელი.

ი. უ.

სასამართლო

კოსაკოვსკის ქალის მოკვლის საქმე

გუშინ, 10 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე სპარსეთის ქვეშევრდომის ჭუსეინ რაჭიმ-ოღლისა, რომელსაც, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ჰბრალდებოდა მარიამ კოსაკოვსკის მოკვლა და ექიმის ვოინოს დაჭრა. საქმის გარჩევა დაიწყო დილის 10 საათზედ. ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო; ზოგი უადგილობისა გამო გარედ დარჩა. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი არწრუნი. საქმის გარემოება ვრცლად გვქონდა აღნიშნული მაშინ, როდესაც იგი ოლქის სასამართლოში ირჩეოდა და ამიტომ აქ აღარ განვიმეორებთ. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ჭუსეინ რაჭიმ-ოღლი კოსაკოვსკის მოკვლისა და ვოინოს მოკვლის განზრახვისათვის და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და 20 წლით კატორგაში გაგზავნა. ბრალდებულმა საქმე გადიტანა სამოსამართლო პალატაში. ჭუსეინ-რაჭიმ ოღლი, სააპელაციო საჩივარში აცხადებდა რა თავის თავს უდანაშაულოდ, სწერდა: მკვლელობის საღამოს 9 საათიდან მარიამ კოსაკოვსკისთან ერთად ვიყავი კავკასიის გამოფენის ბაღში, სადაც შუაღამემდე დუდუს ვსვამდითო. ნაშუაღამევის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც ჭუსეინი კოსაკოვსკისთან ერთად დაბრუნდა ვოინოს სახლში. ქალის თხოვნით, იგი გაჩერდა წინა ოთახში, თითონ კასაკოვსკის-კი შევიდა ვოინოს დასაძინებელ ოთახში. ვოინომ ცუდმოსულად უსაყვედურა ქალს, სად იყო აქამდე და რად დაიგვიანა. ცოტა ხანს შემდეგ ვოინოს და კოსაკოვსკის ჩხუბიც მოუვიდათ და ვოინომ დანით დასჭრა ქალი. როცა ჭუსეინს მოესმა, „მიშველეთო“, თავი ვეღარ შეუმაგრებია, და რადგანაც კარები ჩაკეტილი ყოფილა, ჩაუმტვრევია კარების შუშა და შევარდნილა ქალის საშველად. ამ დროს ჩარეულ ჩხუბში, როდესაც ქალის სიკვდილისაგან დახსნას აპირობდა, ხანჯლით დაუჭრია ვოინო. შემდეგ კოსაკოვსკის ქალს ურჩევია ჭუსეინისათვის წასულიყო. ჭუსეინი წასულა ეტლით და ის ღამე აბანოში გაუთევია. მეორე დღეს დაუჭერიათ იმ დროს, როცა „შრომის“ ბიუროში მისულა თავის პასპორტის ასაღებად. ჭუსეინი საჩივარში პალატას სთხოვს, გამამართლეთო, რადგან დამნაშავე არა ვარ ამ საქმეშიო.

საქმის გარემოების მოსმენის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა ჭუსეინს, დამნაშავეთა სცნობთ თავს, თუ არაო. ჭუსეინ-რაჭიმ ოღლიმ განაცხადა, რომ ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და არასოდეს არ ვიცი ამ მკვლელობისაო. როცა თავმჯდომარე კიდევ შეეკითხა ჭუსეინს და სთქვა, თუ ამ საქმისა არაფერი იცით, მაშ რას აცხადებთ სააპელაციო საჩივარში, რომ დახმარება გაუწიე კოსაკოვსკისასო? რაჭიმ ოღლიმ განაცხადა, რომ მე უარს ვაცხადებ ყოველსავე მაზე, რაც სააპელაციო საჩივარშია მოყვანილი. ეს საჩივარი პალატაში მე შემოვიტანე ზოგიერთ ჩემ კეთილის მყოფელ პირთა რჩევით. მე ამ საქმეში დამნაშავე არა ვარ და არც ვიცი არაფერი ამ ბოროტ-მოქმედებისაო. ამის შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს მოწმეებს ვოინოსა და კრასოვსკის. ვოინომ პალატაშიაც ისა სთქვა, რაც ოლქის სასამართლოში. განაცხადა, რომ კასაკოვსკისა მკვლელი და ჩემი დამჭრელი ჭუსეინიაო. თუმცა იმასთან, როგორც ხმაურობაზე შევნიშნე, ვიღაც სხვაც იყო, მაგრამ ვერ გავარჩიე სახეზე, ჭუსეინი-კი კარგად ვიცანი სანთლის შუქზე, როცა ბოროტ-მოქმედების შემდეგ ოთახში დადიოდა ნივთების საძებნელადაო.

შემდეგ კარგა ხანს ილაპარაკა ბრალმდებელმა. უმთავრესი ყურადღება მიაქცია თვით ვოინოს ჩვენებას, რომლითაც ბოროტ-მოქმედების ჩამდენად ჭუსეინ რაჭიმ-ოღლია დასახელებული. სხვათა შორის ბრალმდებელმა აღნიშნა, რომ ვოინოს სადგომი ისეთ მიუდგომელ ადგილას იყო, რომ იქ უცხო კაცი ვერ მოახერხებდა შეპარვასაო. ბოროტ-მომქმედს დაწვრილებით სცოდნია სახლის მოწყობილება. ამისთანა მცოდნე იყო ჭუსეინი, რომელიც კიდეც იცნო თვით ექიმმა ვოინომაო.

ბრალდებულის დამცველმა ნაფიცმა ვექილმა არწრუნმა თითქმის ერთი საათი ილაპარაკა. პირველად სთქვა, რომ ამ საქმეში რამდენიმე ბოროტ-მომქმედი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ყოვლად დაუჯერებელია ასეთი სუსტი კაცი, როგორიც ბრალდებულია, მოჰრეოდა ვოინოს: დაეჭრა იგი და მოეკლა ქალი. მოწმეთა ჩვენებით გამოირკვა, რომ მკვლელობის დროს ქალს დაუძახნია: „მიშველეთო“. აშკარაა, ქალს სხვისთვის მიუმართავს და არა ვოინოსთვის; წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიძახებდა „მიშველეო“ და არა „მიშველეთო“. აქედან ნათლადა სჩანს, რომ ქალის მშველელი იქ არავინა ყოფილა. ყოვლად დაუჯერებელია, განაგრძო ვექილმა, რომ ვოინოს ჭუსეინი ეცნო, რადგანაც ჯერ ერთი იმასთან მოსამსახურედ ყოფნის დროს ვოინოს მზარეული ორჯელ მეტად არ უნახავს და მეორეც თავ-დასხმის დროს ძნელია კაცმა ვისიმე სახე გაარჩიოს და დაიხსომოსო. დასასრულ ვექილმა სთხოვა პალატას, ჭუსეინ-რაჭიმ-ოღლი უდანაშაულოდ ეცნო.

პალატამ, რამდენისამე წამის შემდეგ, გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იცნო ჭუსეინ-რაჭიმ-ოღლი და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ოქტომბერი

ტულა. კაშირსკის ერობამ დაადგინა, დაარსდეს მუშათა დასაქირავებელი ბიურო.

პოლტავა. სამაზრო ერობამ უარჰყო იმ ამომრჩეველთა უფლების ჩამორთმევა, რომელზედაც გადასახადია დარჩენილი.

კოპენჰაგენი. ლანდსტინგმა (პარლამენტია) უარჰყო უესტ-ინდიაში დანიის კუნძულების შეერთებულ შტატებზე გადაცემა.

სოფია. ტყუილია, ვითომ სამინისტრო სამსახურს თავს ანებებსო.

— ელჩი კონსტანი კონსტანტინეპოლს წავიდა.

რიაზანი. რიაჟსკის ერობამ დაამტკიცა ხარჯი 172.416 მანეთი; აქედან 13.173 მან. სახალხო განათლებისათვისაა გადადებული და 44.499 მან. საექიმო ნაწილისათვის.

პეტერბურგი. დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე 9 ოქტომბერს შლისელბურგს წავიდა, სადაც დღესასწაული იქმნება გამართული ამ ადგილის დაპყრობიდან 200 წლის შესრულების გამო.

— 9 ოქტომბერს იდღესასწაულეს ფინანსთა მინისტრის ამხანაგის კოვალევსკის ვაჭრობისა და მრეწველობის სათავეში ათის წლის შესრულების გამო. კოვალევსკის ხელქვეითა მოსამსახურეთ ადრესი მიართვეს. იმის სახელობაზე სტიპენდია დაარსეს ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთს სამეურნეო-სახელოსნოში. კოვალევსკიმ მეტად გრძნობიერის სიტყვებით მადლობა გადაუხადა ყველას პატივსცემისათვის.

პარიზი. პოლიციის აგენტმა ანარხისტი შეიპყრო იმ დროს, როცა სასახლის მოაჯირზე უნდოდა გადახტომა. რევოლვერი უპოვეს. ჰფიქრობენ, პრეზიდენტის მოკვლა ჰქონდა განზრახული.

10 ოქტომბერი

ლონდონი კრანბორნმა განაცხადა პალატაში, რომ მთავრობამ ბეჯითად მოსთხოვა პორტას, როცა არეულობის დასაწყნარებლად ზომებს ჰხმარობთ, სასტიკობას ნუ გამოიჩენთო

ლონდონი. ბურთა გენერლები მოვიდნენ და განაცხადეს, რომ არა ვცდილობთ ჩემბერლენის ნახვასაო. დევეტი სამხრეთ-აფრიკაში წავა.

ნიუ-იორკი. „ტრიბუნა“ იტყობინება, რომ სამოას გამო უთანხმოება შვეციის მეფემ გერმანიის სასარგებლოდ დაბოლოვაო.

ფრანკფურტი. ნიუ-იორკიდან იტყობინებიან, რომ სამხრეთ შტატებში 70 ჩითის ქარხანამ სინდიკატი შეადგინა 30,000,000 დოლარის თანხითაო.

პოლტავა. პრილუკის ერობამ აღიარა, რომ სასურველი არ არის დარჩენილ გადასახადის შეუტანლობისათვის ამომრჩევლობითი უფლება წაერთვას ხალხსო.

შლისელბურგი. გემ „იჟორა“-თი მოვიდნენ გვარდიის პოლკის წარმომადგენლები, პრეობრაჟენისა და სემენოვის პოლკებისა და აგრეთვე გვარდიის არტილერიის მოსამსახურენი. 5 საათზე გემ “ონეგა“-თი მოვიდა დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე.

პოლტავა. პრილუკის საერობო კრებამ გადასდო ახალ გზათა გასაყვანად 30,000 მანეთი, სამკურნალო საქმისათვის — 52,000 მან. და განათლებისათვის 32,000 მანეთი.

ტაშკენტი. პირველი მატარებელი ამ მხრის უფროსით მოვიდა პირველ სადგურზე, რომელიც ორენბურგისა და ტაშკენტის რკინის გზისათვის შენდება. რელსებს სწრაფად აწყობენ.

ხარკოვი. სამხრეთის გზებზე, გარდა სამხრეთ-აღმოსავლეთისა, პური კლებულობს.

პეკინი. ქვრივი დედოფლის რძალმა დიპლომატიურ კორპუსის მანდილოსნებს საუზმე გაუმართა. ინგლისის მისიის მანდილოსნებმა უარი განაცხადეს საუზმეზე დასწრებისა.

კონსტანტინეპოლი. პორტა უარ-ჰყოფს იმ ცნობას, ვითომც მაჰმადიანებმა გადასწვეს ბოლგართა ორი სოფელი და დედაკაცებსა და ბავშვებზე ძალადობა იხმარესო; აცხადებს ამასთანავე, რომ ბოლგარელნი სრულიად დაუბრკოლებლად ჰბრუნდებიან თავიანთ სოფლებშიო.

ხარკოვი. დონეცკის ქვა-ნახშირი 76,000.000 ფუთი სახელმწიფო რკინის გზამ იყიდა, ადგილობრივ ფუთი $6^1/_2$ კაპეიკად. ქვა-ნახშირის ამოღება და აგრეთვე კოქსის წარმოება კლებულობს.

სოფია. კონსტანი პარიზს წავიდა და არა კონსტანტინეპოლს.

პარიზი. ის კაცი, რომელიც ელისეს სასახლის ჯებირზე აბობღდა, სავადმყოფოდან გამოსული სულით ავადმყოფია.

სოფია. სტამბულოვის მკვლელობის გამო ხელ ახლად აღძრულ პროცესის დროს ბრალდებულმა ხალიუმ უარი განაცხადა, მკვლელობაში მონაწილეობა არ მიმიღიაო. მოწმე პეტკოვი დანამდვილებით ვერ ასახელებს ხალიუს დამნაშავედ. ტოდოროვი ამბობს, რომ პირველად ხალიუმ ესროლა ტყვიაო. მოწმეებმაც განიმეორეს მომაკვდავ სტამბულოვის სიტყვები, რომლითაც ხალიუ და სხვები იყო მკვლელებად დასახელებული.

სოფია. მთავრობამ გადაასახლა 35 მაკედონელი, რომელნიც ბრბოებს ადგენდნენ და საზღვარზე გადასასვლელად ემზადებოდნენ. პეტრიჩში ადგილობრივი ატრიადი მოქმედებს. ოსმალელთ რუპელის გზა დაიჭირეს.

ვილკესბარრი. მუშებმა მიიღეს რუზველტის წინადადება სამედიატორო სასამართლოს დანიშვნისა და აგრეთვე მუშაობის განახლების შესახებ. გაფიცვა გათავდაო, გამოაცხადეს.

ბელგრადი. იუწყებიან, რომ რამდენისამე დღის შემდეგ სერბიის მთავრობას მისცემენ ბანკები $5^1/_2$ მილიონს, რომელიც [illegible] წადებული 15 მილიონ ახალ სესხის უკანასკნელი ავანსი არის.

სოფია. ხმა დადის, რომ მინისტრები აბრაშევი და კონსტანტინოვი კაბინეტიდან გადადგომას აპირებენო.

პეტერბურგი. „ნოვოსტი“ იუწყება, სენატი ჰხსნის, რომ ტახტის აზნაურის ქალნი, თუნდაც აზნაურის ცოლნი არ იყვნენ, თუ კი გათხოვებამდის მემამულე ყოფილან, ჩარიცხულ იქმნებიან საერობო ამომრჩეველთა სიაში და მათს წარმომადგენელთ, თუნდაც არა აზნაურთა წოდების მქონეთ, უფლება აქვთ კრებაში მონაწილეობის მიღებისა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—11)

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
განკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ახალი წიგნი
ფიზიოლოგია
დ-რი ფოსტერისა
სურათებით
ფასი 25 კ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის
დეპო
(მუხრანიანთ ქუჩიდან) და
მაღაზია
(სასახლის ქუჩიდან)
ტელეფონი № 741.
გადავიდა ერთ შენობაში ,,სევერნი ნომრების'' ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინის პროსპექტის ახლო), ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество фармацевтовъ, ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, фармацевтика. (0—26)

ახალი სახურავი,
რომელზედაც პატენტია აღებული
[illegible]
[illegible] 1901 წლის [illegible] გამოფენა
ფაბრიკა და საცინკო ქარხანა
ი. შელენგოვსკის
და
ამხანაგობისა
ბათუმში.
დიდხანს გამძლეობა და იაფი სახურავი
არ საჭიროებს შეღებვას და [illegible]
პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.
პრეის-კურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ
ამხანაგობის წარმომადგენელნი:
ტფილისში გ. მულიარსკი
(ერევნის მოედანზე № 25)
ქუთაისში ვ. ჭილაძე
(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.) (0—41)

Дозв. ценз. Тифлисъ, 10 Октября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).